ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება:**ბ48.48210343**
თარიღი:**03/02/2021**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტში 2021 წელს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის განხორციელების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61–ე მუხლის მესამე ნაწილის ,,ა'' პუნქტის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ე" პუნქტის ,,ე.ე" ქვეპუნქტისა და ,,საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის N 654 დადგენილების შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1.შეიქმნას წყალტუბოს მუნიციპალიტეტში 2021 წელს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის განხორციელების მიზნით სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

ზურაბ მაისურაძე - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე, ჯგუფის უფროსი;

ალექსანდრე დადუნაშვილი -წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე;

მალხაზ ჩხეიძე - პირველი რანგის, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი;

იონა ჯოჯუა - მეორე რანგის, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი- სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და კეთილმოწყობის განყოფილების უფროსი;

მურმან შალამბერიძე - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;

ბადრი პაპავა - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარე;

ფატი გაგოშიძე - პირველი რანგის, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი;

ანა გელენიძე - მეორე რანგის, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი;

მირანდა მამისეიშვილი - მეორე რანგის, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის იურიდიულ საკითხთა განყოფილების უფროსის ფუნქციების დროებით შემსრულებელი;

მამუკა გელენიძე - მესამე რანგის, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის ინფრასტრუქტურის განვითარების და კეთილმოწყობის განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;

კობა გოგიძე - მესამე რანგის, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის ინფრასტრუქტურის განვითარების და კეთილმოწყობის განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, მდივანი.

2.ბრძანება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

3.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ქ.ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

გრიგოლ იოსელიანი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი